

ონლაინ გაკვეთილის შეფასების რუბრიკა

გარე დაკვირვების გაკვეთილის ჩაატარებლად მასწავლებელმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია eschool-ში და შესაბამისი თანამიმდევრობით წარმოადგინოს გარე დაკვირვების წესის მიხედვით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

მასწავლებლის შეფასება ხორციელდება: ა) გაკვეთილის შეფასების სქემით მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასებისა და

ბ) მასწავლებლის რეფლექსიის შეფასების საფუძველზე შეფასების

რუბრიკა გამოიყენება მხოლოდ ონლაინ გარე საგაკვეთილო დაკვირვებებისთვის.

1. მიმართულება - ვირტუალური სასწავლო პლატფორმის გამოყენება

1.1. ვირტუალური სასწავლო პლატფორმის შესაბამისი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

1.2. კიბერჰიგიენის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ონლაინეთიკისა და მედიაწიგნიერების ძირითადი პრინციპების დაცვა.

1	2	3	4
<p>მასწავლებელი საერთოდ არ ან ხარვეზებით იყენებს პორტალის შესაძლებლობებს. მასწავლებელი არ იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის, კიბერჰიგიენის, ონლაინეთიკისა და მედიაწიგნიერების პრინციპებს.</p>	<p>მასწავლებელი საჭიროზე მეტ დროს ხარჯავს გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, ვირტუალური ჯგუფების შექმნაზე; მიმოწერისას ჩატის გამოყენებაზე; ეკრანის ან დაფის გაზიარებაზე; კალენდრის დაგეგმვაზე; ზარების განხორციელებაზე; რუბრიკის გაზიარებაზე; ფაილების შექმნასა და განთავსებაზე; დამატებითი აპლიკაციების ან რესურსების გამოყენებაზე; გაკვეთილზე რისკების მართვასა და ექსტრემალურ პირობებში (ტექნიკური ხასიათის ხარვეზები,</p>	<p>მასწავლებელს დროის მცირე დანაკარგით შეუძლია: გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ: ვირტუალური ჯგუფების შექმნა; მიმოწერისას ჩატის გამოყენება; ეკრანის ან დაფის გაზიარება; კალენდრის დაგეგმვა; ზარების განხორციელება; რუბრიკის გაზიარება; ფაილების შექმნა და განთავსება; დამატებითი აპლიკაციების ან რესურსების გამოყენება; გაკვეთილზე რისკების მართვა და ექსტრემალურ</p>	<p>მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ, დროის დანაკარგის გარეშე: ვირტუალური ჯგუფების შექმნა; მიმოწერისას ჩატის გამოყენება; ეკრანის ან დაფის გაზიარება; კალენდრის დაგეგმვა; ზარების განხორციელება; რუბრიკის გაზიარება; ფაილების შექმნა და განთავსება; დამატებითი აპლიკაციების ან რესურსების გამოყენება; გაკვეთილზე რისკების მართვა და ექსტრემალურ პირობებში (ტექნიკური ხასიათის ხარვეზები,</p>

<p>შეფერხება) ალტერნატიული გამოსავლის მოძებნაზე და სხვა</p> <p>მასწავლებელი იშვიათად იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის, კიბერპიგიენის, ონლაინეთიკისა და მედიაწიგნიერების პრინციპებს, როგორებიცაა: მრავალფეროვანი ონლაირესურსების შეთავაზება მოსწავლეებისათვის კიბერპიგიენის ნორმების სრული დაცვით: მხოლოდ სანდო და გადამოწმებული აპლიკაციების, ინტერნეტწყაროებისა და პროგრამების გამოყენება; რესურსების ასაკობრივი ცენზის გათვალისწინებით შერჩევა; მოსწავლეთა პერსონალური მონაცემებს ონლაინსივრცეში დაცვა; ნეტიკეტისა ნორმების დაცვა; სიძულვილის ენისაგან დაცული გარემოს წახალისება და კიბერბულინგის პრევენცია; ონლაინსივრცეში მედიაწიგნიერების პრინციპების დამკვიდრებაზე ყურადღების გამახვილება.</p>	<p>პირობებში (ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, შეფერხება) ალტერნატიული გამოსავლის მოძებნა და სხვა.</p> <p>მასწავლებელი უმეტესწილად იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის, კიბერპიგიენის, ონლაინეთიკისა და მედიაწიგნიერების პრინციპებს, როგორებიცაა: მრავალფეროვანი ონლაირესურსების შეთავაზება კიბერპიგიენის ნორმების სრული დაცვით: მხოლოდ სანდო და გადამოწმებული აპლიკაციების, ინტერნეტწყაროებსა და პროგრამების გამოყენება; რესურსების შერჩევა ასაკობრივი ცენზის გათვალისწინებით; მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვა ონლაინსივრცეში; ნეტიკეტის ნორმების დაცვა; სიძულვილის ენისაგან დაცული გარემოს წახალისება და კიბერბულინგის პრევენცია; ონლაინსივრცეში მედიაწიგნიერების პრინციპების დამკვიდრებაზე ყურადღების გამახვილება.</p>	<p>შეფერხება) ალტერნატიული გამოსავლის მოძებნა და სხვა.</p> <p>მასწავლებელი ყოველთვის იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის, კიბერპიგიენის, ონლაინეთიკისა და მედიაწიგნიერების პრინციპებს, როგორებიცაა: მრავალფეროვანი ონლაირესურსების შეთავაზება, კიბერპიგიენის ნორმების სრული დაცვით: მხოლოდ სანდო და გადამოწმებული აპლიკაციების, ინტერნეტწყაროებსა და პროგრამების გამოყენება; რესურსების შერჩევა ასაკობრივი ცენზის გათვალისწინებით; მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვა ონლაინსივრცეში; ნეტიკეტის ნორმების დაცვა; სიძულვილის ენისაგან დაცული გარემოს წახალისება და კიბერბულინგის პრევენცია; ონლაინსივრცეში მედიაწიგნიერების პრინციპების დამკვიდრებაზე ყურადღების გამახვილება.</p>
---	---	---

2. მიმართულება - პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება

2.1. ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი ვირტუალური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა

- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირება
- განსხვავებული აზრის მიღება და პატივისცემა
- კულტურული, რელიგიური, ეროვნული და სხვ. მრავალფეროვნების აღიარება და მასთან დაკავშირებული აქტივობების წახალისება

1	2	3	4
<p>ურთიერთობა ვირტუალურ გაკვეთილზე თანამშრომლობით პრინციპებზე არ არის დამყარებული - არ იგრძნობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის პატივისცემა, მზრუნველობა და კეთილგანწყობა, განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის წახალისება, თითოეული მოსწავლის აღიარება - მისი შესაძლებლობების, ინტერესების, სოციო-კულტურული თავისებურებების გათვალისწინება</p>	<p>ურთიერთობა ვირტუალურ გაკვეთილზე ნაკლებად არის დამყარებული თანამშრომლობით პრინციპებზე, ნაკლებად იგრძნობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის პატივისცემა, მზრუნველობა და კეთილგანწყობა, განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის წახალისება, თითოეული მოსწავლის აღიარება - მისი შესაძლებლობების, ინტერესების, სოციო-კულტურული თავისებურებების გათვალისწინება</p>	<p>ურთიერთობა ვირტუალურ გაკვეთილზე ძირითადად დამყარებულია თანამშრომლობით პრინციპებზე - იგრძნობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის პატივისცემა, მზრუნველობა და კეთილგანწყობა, განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის წახალისება, თითოეული მოსწავლის აღიარება - მისი შესაძლებლობების, ინტერესების, სოციო-კულტურული თავისებურებების გათვალისწინება.</p>	<p>ურთიერთობა ვირტუალურ გაკვეთილზე დამყარებულია მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის პატივისცემაზე, მზრუნველობასა და კეთილგანწყობაზე. გაკვეთილზე თანამშრომლობითი გარემოა, სადაც თითოეული მოსწავლე აღიარებულია და ყურადღების ცენტრშია - თითოეულ მოსწავლესთან ურთიერთობა აგებულია მისი შესაძლებლობების, ინტერესების, სოციო-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით განსხვავებული მოსაზრების გამოთქმა წახალისებულია. მოსწავლეებს არ ეშინიათ, შეცდომის დაშვების და მათი აღიარების.</p>

2.2. ვირტუალური სასწავლო პროცესის მართვა

- მოსწავლეთა მხრიდან ვირტუალურ სივრცეში ქცევის წესების ცოდნა და მათი დაცვა
- ვირტუალური სასწავლო გარემოსთვის შესაბამისი ქცევის მართვის სტრატეგიების გამოყენება
- ონლაინპლატფორმის სპეციფიკის გათვალისწინებით მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა საგაკვეთილო პროცესში
- ონლაინგაკვეთილისათვის განკუთვნილი დროის რაციონალურად მართვა

1	2	3	4
<p>მასწავლებელი ვერ მართვას მოსწავლეთა ქცევას - მასწავლებლის მიერ გამოყენებული ქცევის მართვის სტრატეგიები არაეფექტურია.</p> <p>მასწავლებელს ონლაინგაკვეთილზე გაუთვალისწინებელი სიტუაციის შექმნისას არ შუძლია პროცესების მართვა.</p> <p>ონლაინგაკვეთილის მიმდინარეობისას დრო არ არის გამოყენებული რაციონალურად და მიზნობრივად. მასწავლებელი ვერ რთავს ან საერთოდ არ ცდილობს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა უმრავლესობის ჩართვას. მასწავლებელი არ რეაგირებს კითხვებსა და კომენტარებზე შეტყობინების ველში.</p>	<p>მოსწავლეთა ქცევა რეგულირდება მასწავლებლის მითითებებით. ქცევის მართვის სტრატეგიები მეტნაკლებად ეფექტიანია.</p> <p>მასწავლებელს ონლაინგაკვეთილზე გაუთვალისწინებელი სიტუაციის შექმნისას უჭირს პროცესების მართვა.</p> <p>ონლაინგაკვეთილის მიმდინარეობისას დრო ნაკლებად არის გამოყენებული რაციონალურად და მიზნობრივად. მასწავლებელი ცდილობს, მაგრამ უჭირს მოსწავლეთა უმრავლესობის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელი იშვიათად რეაგირებს კითხვებსა და კომენტარებზე შეტყობინების ველში.</p>	<p>მოსწავლეთა ქცევა ძირითადად თვითრეგულირებადია - ისინი იცავენ ონლაინსივრცეში ქცევის წესებს; მოსწავლეთა ქცევის რეგულირებისთვის მასწავლებელი ეფექტიანად იყენებს ქცევის მართვის სტრატეგიებს.</p> <p>მასწავლებელი, ონლაინგაკვეთილზე, გაუთვალისწინებელი სიტუაციის შექმნისას, ძირითადად მართავს პროცესებს.</p> <p>ონლაინგაკვეთილის მიმდინარეობის ტემპი უმეტესწილად ოპტიმალურია, დრო გამოყენებულია რაციონალურად და მიზნობრივად.</p> <p>მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა უმრავლესობის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში.</p>	<p>მოსწავლეთა ქცევა თვითრეგულირებადია - ისინი ზედმიწევნით იცავენ ონლაინსივრცეში ქცევის წესებს; ვირტუალური სასწავლო პროცესის მართვის თანამონაწილენი არიან, იზიარებენ პასუხისმგებლობას არსებულ სიტუაციაზე.</p> <p>მასწავლებელი ონლაინგაკვეთილზე გაუთვალისწინებელი სიტუაციის შექმნისას ეფექტიანად მართავს პროცესებს.</p> <p>ონლაინგაკვეთილი მიმდინარეობს დინამიკურად, ტემპი არის ოპტიმალური, დრო გამოყენებულია რაციონალურად და მიზნობრივად. მასწავლებელი მაქსიმალურად უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში.</p>

		მასწავლებელი ადევნებს თვალს შეტყობინების ველს და პასუხობს შეკითხვებს თუ კომენტარებს.	მასწავლებელი მუდმივად ადევნებს თვალს შეტყობინების ველს და რეაგირების გარეშე/პასუხგაუცემელს არ ტოვებს არცერთ კომენტარსა თუ შეკითხვას.
--	--	--	--

3. მიმართულება - ონლაინფორმატის რელევანტური სწავლება და შეფასება

3.1. სწავლება

- სამიზნე ცნების/ცნებების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისი აქტივობებისა და სტრატეგიების გამოყენება
- მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და არსებული გამოცდილების გათვალისწინება
- დიფერენცირებული სწავლების ძირითადი პრინციპების დაცვა
- მაღალი სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარების ხელშემწყობი მიდგომების გამოყენება
- მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლების ხელშემწყობა

1	2	3	4
---	---	---	---

<p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები და სტრატეგიები ვერ უზრუნველყოფენ თემატური მატრიცით გათვალისწინებულ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.</p> <p>მასწავლებელი ვერ ამყარებს საგაკვეთილო აქტივობებსა და გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებს შორის, ასევე შიდასაგნობრივ კავშირებს.</p> <p>მასწავლებელი არ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას, მზაობას, სწავლის სტილსა და ინტერესს.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები და სტრატეგიები მხოლოდ ორიენტირებულია ფაქტობრივი ცოდნის შექმნაზე.</p> <p>მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები და საშინაო დავალებები არ უწყობს ხელს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, მოსწავლეების მიერ სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებასა და მათ დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბებას.</p>	<p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები და სტრატეგიები ნაკლებად უზრუნველყოფენ თემატური მატრიცით გათვალისწინებულ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას</p> <p>მასწავლებელს უჭირს საგაკვეთილო აქტივობებსა და გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებს შორის კავშირების დამყარება, ცდილობს შიდასაგნობრივი კავშირების დამყარებას. თუმცა, ზოგჯერ წარუმატებლად..</p> <p>მასწავლებელი ნაკლებად ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას, მზაობას, სწავლის სტილსა და ინტერესს.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები და სტრატეგიები მოსწავლეებს ნაკლებად აძლევს საშუალებას დაამყარონ მიმართებები საკითხებს/ფაქტორებს შორის.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები ძირითადად ორიენტირებულია ფაქტობრივი ცოდნის შექმნაზე.</p>	<p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები და სტრატეგიები უმეტესწილად უზრუნველყოფენ თემატური მატრიცით გათვალისწინებულ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას</p> <p>მასწავლებელი ამყარებს კავშირებს საგაკვეთილო აქტივობებსა და გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებს შორის, ითვალისწინებს შიდასაგნობრივ კავშირებს.</p> <p>მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას და მზაობას. მისი მიდგომები უმეტესწილად ეფუძნება ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს, მოსწავლეების სწავლის სტილს.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები და სტრატეგიები მოსწავლეებს საკითხებს/ფაქტორებს შორის მიმართებების დამყარებაში ეხმარება.</p> <p>მასწავლებელს აქვს მცდელობა მოსწავლეები ჩართოს ძიებისა და პრობლემების გადაჭრის პროცესებში.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები (მიცემული დავალებები)</p>	<p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული ყველა აქტივობა და სტრატეგია სრულად უზრუნველყოფს თემატური მატრიცით გათვალისწინებულ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას</p> <p>მასწავლებელი წარმატებულად ამყარებს კავშირებს საგაკვეთილო აქტივობებსა და გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებს შორის, ასევე შიდასაგნობრივ და საგანთაშორის კავშირებს,</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ მასალასთან კავშირის დამყარებაში.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული მრავალფეროვანი მიდგომები დაფუძნებულია მოსწავლეთა მზაობაზე, ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ინტერესებსა და სწავლის სტილზე მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები და</p>
---	--	--	---

	<p>მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები და საშინაო დავალებები ნაკლებად უწყობს ხელს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, მოსწავლეების მიერ სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებასა და მათ დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბებას.</p>	<p>ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, მოსწავლეების მიერ სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებასა და მათ დამოუკიდებელ მსწავლელად ჩამოყალიბებას.</p>	<p>სტრატეგიები მოსწავლეებს, საკითხის ღრმა შესწავლისაკენ, აბსტრაგირებისკენ და ძიების პროცესში ჩართვისკენ უბიძგებს; გამოყენებული აქტივობები ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები (მიცემული დავალებები) უზრუნველყოფს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებასა და მოსწავლეების დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბებას.</p>
<p>3.2. შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეთა ონლაინშეფასების ობიექტური, სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური სისტემის უზრუნველყოფა • თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების სტიმულირებისა და მათში სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშემწყობი შეფასების გამოყენება 			
1	2	3	4

<p>მოსწავლეები არ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებელი არ ამოწმებს, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა საკითხი, არ ამოწმებს შესრულებულ დავალებას. მასწავლებელი არ აწვდის მოსწავლეებს უკუკავშირს, ან მხოლოდ უარყოფითი კომენტარით შემოიფარგლება.</p> <p>შეფასებისას მასწავლებელი არ ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს თემატური მატრიცით გათვალისწინებულ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების შეფასებას. მასწავლებელი აფასებს მხოლოდ მოსწავლეთა დეკლარატიულ ცოდნას,</p>	<p>მოსწავლეებს მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვთ, თუ რას ნიშნავს კარგი და ცუდი პასუხი/შესრულება. კითხვები და სხვა ტიპის შეფასების ინსტრუმენტები გამოიყენება სწავლის შედეგების დიაგნოსტიკისათვის. მოსწავლეები იღებენ ზოგადი ხასიათის უკუკავშირს, რომელიც მთელი კლასისთვისაა განკუთვნილი ან არ არის დაზუსტებული, რომელ ქმედებას მოსდევს.</p> <p>შეფასებისას მასწავლებელი ნაკლებად ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს თემატური მატრიცით გათვალისწინებულ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების შეფასებას და შესაფასებელი ცოდნის სამივე კატეგორიის შემოწმებას</p>	<p>მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით მონაწილეობენ შეფასების პროცესში (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება). მასწავლებელი, სხვადასხვა მეთოდით/ფორმით, მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა სწავლის პროცესს. ამის საფუძველზე მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, მიღებული უკუკავშირი არის ზუსტი, სპეციფიკური და ემსახურება თითოეული მოსწავლის სწავლის გაუმჯობესებას.</p> <p>შეფასებისას მასწავლებელი ძირითადად ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს თემატური მატრიცით გათვალისწინებულ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების შეფასებას და შესაფასებელი ცოდნის სამივე კატეგორიის შემოწმებას</p>	<p>მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით მონაწილეობენ შეფასების პროცესში (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება). მასწავლებელი მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა სწავლის პროცესს სხვადასხვა მეთოდით/ფორმით. ამის საფუძველზე მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, მიღებული უკუკავშირი არის ზუსტი, სპეციფიკური და ემსახურება თითოეული მოსწავლის სწავლის გაუმჯობესებას.</p> <p>შეფასებისას მასწავლებელი ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს თემატური მატრიცით გათვალისწინებულ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების შეფასებას და შესაფასებელი ცოდნის სამივე კატეგორიის შემოწმებას.</p>
<p>4. მიმართულება - სასწავლო რესურსების გამოყენება</p>			

- დისტანციური სწავლებისთვის რელევანტური და საგაკვეთილო მიზნის შესაბამისი სასწავლო რესურსების გამოყენება
- მოსწავლეთა ასაკისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი რესურსების გამოყენება

1	2	3	4
<p>მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მწირ სასწავლო რესურსს, რომლებიც საგაკვეთილო მიზანთან და ვირტუალურ სასწავლო გარემოსთან არ არის შესაბამისი.</p> <p>არარის დაცული პერსონალურ მონაცემთა დაცვის, კიბერუსაფრთხოებისა და მედიაწიგნიერების პრინციპები,</p> <p>მასწავლებელი არამიზნობრივად იყენებს შერჩეული პლატფორმის შესაძლებლობებს.</p> <p>მასწავლებლის მიერ ვირტუალურ სასწავლო სივრცეში განთავსებული მასალები, გაკვეთილზე მიწოდებული რესურსები და მათთან მიმართებით გამოყენებული აქტივობები ორიენტირებულია მხოლოდ რეპროდუქციული ცოდნის დაუფლებაზე.</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მწირ სასწავლო რესურსს, რომლებიც საგაკვეთილო მიზანთან და ვირტუალურ სასწავლო გარემოსთან ნაკლებად არის შესაბამისობაში.</p> <p>დარღვეულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის, კიბერუსაფრთხოებისა და მედიაწიგნიერების პრინციპები,</p> <p>მასწავლებელი ძირითადად არამიზნობრივად იყენებს შერჩეული პლატფორმის შესაძლებლობებს.</p> <p>მასწავლებლის მიერ ვირტუალურ სასწავლო სივრცეში განთავსებული მასალები, გაკვეთილზე მიწოდებული რესურსები და მათთან მიმართებით გამოყენებული აქტივობები ნაკლებად უწყობს ხელს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს საგაკვეთილო მიზანთან შესაბამის სასწავლო რესურსს - (მაგ. ვიდეო, საპრეზენტაციო მასალა, სასარგებლო ბმული, გაზიარებული სამუშაო ფაილი, სქემა, დიაგრამა, ინტერაქტიური რუკა და სხვ.) მოსწავლეთათვის მიწოდებული რესურსები ვირტუალურ სასწავლო გარემოსთან ძირითადად თავსებადია. მასწავლებელი ითვალისწინებს საგნის სპეციფიკას, მოსწავლის ასაკს და ინდივიდუალურ საჭიროებებს, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის, კიბერუსაფრთხოებისა და მედიაწიგნიერების პრინციპებს</p> <p>მასწავლებელი იყენებს შერჩეული პლატფორმის შესაძლებლობებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში არამიზნობრივად. მასწავლებლის მიერ გამოყენებული რესურსები ძირითადად ინტერაქტიულია, მოსწავლეთა უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული სასწავლო რესურსის მართვის პროცესში.</p> <p>მასწავლებლის მიერ ვირტუალურ სასწავლო სივრცეში განთავსებული</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს საგაკვეთილო მიზანთან შესაბამის მრავალფეროვან სასწავლო რესურსს - (მაგ. ვიდეო, საპრეზენტაციო მასალა, სასარგებლო ბმული, გაზიარებული სამუშაო ფაილი, სქემა, დიაგრამა, ინტერაქტიური რუკა და სხვ.) მოსწავლეთათვის მიწოდებული რესურსები ვირტუალურ სასწავლო გარემოსთან თავსებადია. ყოველთვის გათვალისწინებულია საგნის სპეციფიკა, მოსწავლის ასაკი და ინდივიდუალური საჭიროებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, კიბერუსაფრთხოებისა და მედიაწიგნიერების პრინციპები, როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეთა მხრიდან.</p> <p>მასწავლებელი ეფექტიანად იყენებს შერჩეული პლატფორმის შესაძლებლობებს. მასწავლებლის მიერ გამოყენებული რესურსები ძირითადად ინტერაქტიულია, მოსწავლეები აქტიურად არიან</p>

		<p>მასალები, გაკვეთილზე მიწოდებული რესურსები და მათთან მიმართებით გამოყენებული აქტივობები მეტწილად ხელს უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას</p>	<p>ჩართულნი სასწავლო რესურსის მართვის პროცესში.</p> <p>მასწავლებლის მიერ ვირტუალურ სასწავლო სივრცეში განთავსებული მასალები და გაკვეთილზე მიწოდებული რესურსები (გაზიარებული საქაღალდეები, ვიდეო ბმულები, საკითხავი მასალა, სქემები, ტესტები და ა.შ) და მათთან მიმართებით გამოყენებული აქტივობები ავითარებს მოსწავლეების მაღალ სააზროვნო უნარებს</p>
--	--	--	--

5. მიმართულება - ონლაინკომუნიკაცია

5.1. ონლაინკომუნიკაცია

- ეფექტიანი ვერბალური, არავერბალური და წერილობითი კომუნიკაციის გამოყენება
- უკუკავშირის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება
- კრიტიკული შენიშვნების კორექტულად და ეფექტიანად მიწოდება
- ეფექტიანი ინსტრუქციების მიწოდება

1	2	3	4
<p>მასწავლებელი საუბრისას არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. უცხო ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევაში, სიტყვები არ არის განმარტებული მოსწავლეთათვის. მასწავლებელი ეფექტური</p>	<p>მასწავლებელი ნაკლებად ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. უცხო ტერმინოლოგიის გამოყენებისას სიტყვები ძირითადად არ არის განმარტებული მოსწავლეთათვის. მასწავლებელი ეფექტური</p>	<p>მასწავლებელი მეტწილად საუბრობს მოსწავლეებისათვის გასაგებ ენაზე, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. უცხო ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევაში, სიტყვები ძირითადად</p>	<p>მასწავლებელი ყოველთვის საუბრობს მოსწავლეებისათვის გასაგებ ენაზე, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. უცხო ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სიტყვა</p>

<p>კომუნიკაციის დასამყარებლად საუბრისას არ იყენებს შესაბამის ინტონაციას და პაუზებს. მასწავლებელი არის პასიური მსმენელი. არ არის წახალისებული განსხვავებული მოსაზრების გამოხატვა.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული უკუკავშირი არ არის მოსწავლეთა განვითარებაზე, სწავლის წახალისებაზე, თვითრეგულირებასა და თანამშრომლობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული.</p> <p>მასწავლებლის მიერ გაცემული კრიტიკული უკუკავშირი არ არის კორექტული და ეფექტიანი.</p> <p>მასწავლებლის მიერ გაცემული ინსტრუქციები არის ზოგადი და ბუნდოვანი.</p>	<p>კომუნიკაციის დასამყარებლად, საუბრისას, ნაკლებად იყენებს შესაბამის ინტონაციას და პაუზებს. მასწავლებელი არ არის აქტიური მსმენელი. ნაკლებად არის წახალისებული განსხვავებული მოსაზრების გამოხატვა.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული უკუკავშირი ნაკლებად არის მოსწავლეთა განვითარებაზე, სწავლის წახალისებაზე, თვითრეგულირებასა და თანამშრომლობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული.</p> <p>მასწავლებლის მიერ გაცემული კრიტიკული უკუკავშირი ნაკლებად არის კორექტული და ეფექტიანი.</p> <p>მასწავლებლის მიერ გაცემული ინსტრუქციები ნაკლებად არის ნათელი, კონკრეტული, თანმიმდევრული და მკაფიო თითოეული მოსწავლისათვის.</p>	<p>განმარტებულია მოსწავლეთათვის. მასწავლებელი ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად საუბრისას ძირითადად იყენებს შესაბამის ინტონაციას და პაუზებს. მასწავლებელი აქტიური მსმენელია. ძირითადად წახალისებულია განსხვავებული მოსაზრების გამოხატვა.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული უკუკავშირი მეტწილად არის მოსწავლეთა განვითარებაზე, სწავლის წახალისებაზე, თვითრეგულირებასა და თანამშრომლობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული.</p> <p>მასწავლებელი კორექტულად და ეფექტიანად აწვდის მოსწავლეებს კრიტიკულ შენიშვნებს.</p> <p>მასწავლებლის მიერ გაცემული ინსტრუქციები მეტწილად არის ნათელი, კონკრეტული, თანმიმდევრული და მკაფიო თითოეული მოსწავლისათვის.</p> <p>მასწავლებელი ინსტრუქციებს გასცემს სხვადასხვა ფორმით (მაგ. წერილობითი, ზეპირი, დემონსტრირებით/მოდელირებული)</p>	<p>განმარტებულია მოსწავლეთათვის. მასწავლებელი ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად საუბრისას იყენებს შესაბამის ინტონაციას და პაუზებს. მასწავლებელი აქტიური და ემპათიური მსმენელია. განსხვავებული მოსაზრების გამოხატვა ჩვეული პრაქტიკაა, მათ შორის ურთიერთშეფასებაც.</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული უკუკავშირი ყოველთვის არის ორიენტირებული მოსწავლეთა განვითარებაზე, სწავლის წახალისებაზე, თვითრეგულირებასა და თანამშრომლობაზე. უკუკავშირში ჩანს, რომ მას აქვს მაღალი მოლოდინები თითოეული მოსწავლის მიმართ.</p> <p>მასწავლებელი კორექტულად და ეფექტიანად აწვდის მოსწავლეებს კრიტიკულ შენიშვნებს,</p> <p>მასწავლებლის მიერ გაცემული ინსტრუქციები ყოველთვის არის ნათელი, კონკრეტული, თანმიმდევრული. მკაფიო თითოეული მოსწავლისათვის.</p>
--	--	--	---

			<p>მასწავლებელი ინსტრუქციებს გასცემს სხვადასხვა ფორმით (მაგ. წერილობითი, ზეპირი, დემონსტრირებით/მოდელირებული).</p> <p>მასწავლებელი სხვადასხვა გზით ამოწმებს რამდენად გასაგებია ინსტრუქციები მოსწავლეთათვის.</p>
--	--	--	---

6 . რეფლექსია

6.1. რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე

- გაკვეთილისთვის დაგეგმილი აქტივობების, მეთოდების/სტრატეგიების მიზნობრიობის დასაბუთება მისაღწევ შედეგებთან მიმართებით;
- ჩატარებული გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების და გამოყენებული მეთოდების/სტრატეგიების გაანალიზება და ობიექტურად შეფასება გაკვეთილის გეგმასთან და განზრახულ შედეგებთან მიმართებით;
- ჩატარებული გაკვეთილის კრიტიკულად შეფასება - მისი ძლიერი და ნაკლოვანი მხარეების/ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი გამოსწორების გზების დასახვა.

1	2	3	4
<p>მასწავლებლის რეფლექსია მთლიანად ან თითქმის მთლიანად აღწერილი ხასიათისაა; საერთოდ არ არის ან არაადეკვატურად არის დასაბუთებული გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და სასწავლო სტრატეგიების ეფექტურობა სასწავლო მიზნებთან და გაკვეთილის მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით. არ არის ან გაუგებრად არის ახსნილი, მოხდა თუ არა გაკვეთილის მსვლელობისას გეგმის მოდიფიცირება და რა აუცილებლობით</p>	<p>მასწავლებლის რეფლექსია უფრო აღწერილი ხასიათისაა, ვიდრე ანალიტიკური; არაა დამაჯერებლად ან არასათანადოდ არის დასაბუთებული გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და სასწავლო სტრატეგიების ეფექტურობა სასწავლო მიზნებთან და გაკვეთილის მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით; არასათანადოდ ან საერთოდ არ არის ახსნილი, მოხდა თუ არა</p>	<p>მასწავლებლის რეფლექსიაში აღწერილი და გაანალიზებულია ჩატარებული გაკვეთილი; დასაბუთებულია გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და სასწავლო სტრატეგიების ეფექტურობა სასწავლო მიზნებთან და გაკვეთილის მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით. ახსნილია, მოხდა თუ არა გაკვეთილის მსვლელობისას გეგმის მოდიფიცირება და რა აუცილებლობით იყო ეს</p>	<p>მასწავლებლის რეფლექსიაში სრულყოფილად არის აღწერილი და გაანალიზებული ჩატარებული გაკვეთილი; დამაჯერებლად არის დასაბუთებული გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და სასწავლო სტრატეგიების ეფექტურობა სასწავლო მიზნებთან და გაკვეთილის მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით. მკაფიოდ არის ახსნილი, მოხდა თუ არა გაკვეთილის მსვლელობისას გეგმის მოდიფიცირება და რა</p>

<p>იყო ეს განპირობებული; რეფლექსიაში საერთოდ არ არის ან არაადეკვატურად არის შეფასებული გაკვეთილზე სწავლა-სწავლების პროცესი შემადგენელი სხვადასხვა კომპონენტი; რეფლექსიაში ან არ არის გამოვლენილი გაკვეთილის ძლიერი მხარეები და ნაკლოვანებები, ან ისინი არაადეკვატურად არის გაანალიზებული; საერთოდ არ არის დასახული ხარვეზებისა თუ პრობლემების გამოსწორების გზები, ან დასახული გზები სრულიად შეუსაბამოა.</p>	<p>გაკვეთილის მსვლელობისას გემის მოდიფიცირება და რა აუცილებლობით იყო ეს განპირობებული; რეფლექსიაში არ არის შეფასებული გაკვეთილზე სწავლა-სწავლების პროცესის შემადგენელი კომპონენტების უმეტესობა; რეფლექსიაში არის გაკვეთილის ძლიერი მხარეებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის მცდელობა, მაგრამ ისინი ზერელედ არის გაანალიზებული; ხარვეზებისა თუ პრობლემების გამოსწორების გზები მეტწილად შეუსაბამოა.</p>	<p>განპირობებული; რეფლექსიაში მეტწილად ობიექტურად არის შეფასებული გაკვეთილზე სწავლა-სწავლების პროცესის შემადგენელი ყველა ან თითქმის ყველა კომპონენტი; გამოვლენილია და მეტწილად კარგად არის გაანალიზებული გაკვეთილის ძლიერი მხარეები და ნაკლოვანებები; უმეტესად სწორად არის დასახული გამოვლენილი ხარვეზებისა თუ პრობლემების გამოსწორების გზები.</p>	<p>აუცილებლობით იყო ეს განპირობებული; რეფლექსიაში მაქსიმალურად ობიექტურად არის შეფასებული გაკვეთილზე სწავლა-სწავლების პროცესის შემადგენელი ყველა კომპონენტი, მათ შორის, სასწავლო გარემოს, კლასის მართვა, რესურსების გამოყენება, შეფასება და ა.შ.; გამოვლენილი და ადეკვატურად არის გაანალიზებული გაკვეთილის ძლიერი მხარეები და ნაკლოვანებები; სწორად არის დასახული გამოვლენილი ხარვეზებისა თუ პრობლემების გამოსწორების გზები.</p>
---	--	--	--

გაკვეთილის შეფასების მაქსიმალური ქულაა 32. გაკვეთილი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 75%-ს, ანუ მინიმუმ 24 ქულას.